

შეტკობინება მეოთხე

კიდობნისა და სავანის ისტორია

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 4:1-7:2

- I. ქრისტემ მოგვიპოვა ჩვენ, რათა ჩვენ მოვიპოვოთ ის იმისათვის, რომ ღმერთი აშენდეს ჩვენში; ხოლო ჩვენ აგშენდეთ მასში და გავხდეთ ერთობლივი ღმერთკაცი, ეკლესიის როგორც ღმერთის სავანის სინამდვილე, რომელიც არის სახლი ცოცხალი ღმერთისა, ურთიერთსავანე ღმერთისა და ადამიანისა – ფილიპ. 3:8, 12-14; იოანე 1:14; გამოცხ. 21:2-3; 7:15; 1 ტიმ. 3:15; იოანე 14:2, 23.
- II. იმისათვის, რომ შევიდეთ ქრისტეს სხეულის სინამდვილეში, ჩვენ უნდა დავინახოთ კიდობნის სიღრმისეული მნიშვნელობა:
- ა. კიდობანი არის წინასახე ქრისტესი როგორც სამართიანი ღმერთის თანდასწრებისა მის ხალხთან ერთად მისი სახლმშენებლობის განხორციელებისათვის იმ მიზნით, რომ დააფუძნოს მისი სამეფო დედამიწაზე – მათე 1:23.
 - ბ. კიდობანი იყო ცენტრი და შემადგენლობა სავანის, რაც აღნიშნავს ქრისტეს როგორც ცენტრს და შემადგენლობას ეკლესიისას; ის, რომ კიდობანი ნახსენებია სავანის ხედვაში პირველად, გვიჩვენებს, რომ ქრისტეს უკავია ეკლესიაში პირველობის მდგომარეობა – გამ. 25:22; კოლ. 1:17ბ, 18ბ:
 - 1. კიდობანში იყო კანონის როგორც ღმერთის მოწმობის ფიქალები, გამოხატულება და გამოცხადება იმისა, რასაც წარმოადგენს ღმერთი – გამ. 25:16; 31:18.
 - 2. კიდობანი წმიდათა წმიდაში აღნიშნავს ქრისტეს როგორც ცენტრს ღმერთის საცხოვრებლისა, ეკლესიის (ეფეს. 2:21-22), და შემადგენლობას ეკლესიისა როგორც ღმერთის სახლის (1 ტიმ. 3:15-16; შდრ. 1 მეფ. 4:22; გამოცხ. 3:20).
 - გ. კიდობანი აკაციის ხისაგან, მოვარაყებული ოქროთი, აღნიშნავს პნევმატურ ქრისტეს როგორც ღმერთის განსხეულებას და როგორც შერწყმას ღვთაებრიობისა ადამიანობასთან, ღმერთის ნაგებობას ადამიანთან, რომელიც მკვიდრობს ჩვენს სულში, რათა ჩვენ შევძლოთ ღმერთთან შეხება და ღმერთით ტკბობა – 2 ტიმ. 4:22; 2 კორ. 3:17; კოლ. 2:9; ებრ. 9:4:
 - 1. აკაციის ხე აღნიშნავს ქრისტეს ადამიანობას, მტკიცეს თავისი ხასიათით და მაღალს თავისი დონით, როგორც ძირითად სუბსტანციას ღმერთის გამოხატულებისათვის – გამ. 25:10; მათე 3:16; 4:4; 8; 20; 9:12-13; 11:29; 12:19-20; 17:27; 20:28; 27:12, 14; მარკ. 1:35; 6:39-41; იოანე 6:12; 7:6; შდრ. საქმე. 16:7.
 - 2. ის, რომ აკაციის ხე იყო მოვარაყებული ოქროთი შიგნიდან და გარედან, აღნიშნავს, რომ ღვთაებრივი ბუნება აღწევს ადამიანურ ბუნებაში და ისვენებს ადამიანურ ბუნებაზე, რათა ის გამოიხატოს ადამიანური ბუნების მეშვეობით – გამ. 25:11; გამოცხ. 3:18ა; 2 პეტ. 1:4; შდრ. გამოცხ. 17:4.
 - დ. კიდობნის შეწყალების თავსარქველი აღნიშნავს ქრისტეს როგორც შესაკრებელ ადგილს ღმერთისა და მისი გამოსყიდული ადამიანების – გამ. 25:17-22:

1. ქრისტე არის ის, ვინც შეგვიწყალებს (ებრ. 2:17), ის ვინც ამყარებს მშვიდობას ჩვენსა და ღმერთს შორის ურთიერთობაში, ის, ვინც გვარიგებს ჩვენ ღმერთთან, აკმაყოფილებს ღმერთის მოთხოვნას თავისით როგორც შეწყალების მსახვერპლით (1 იოანე 2:2; 4:10).
2. ქრისტე არის ასევე შეწყალების თავსარქველი თავისი ღვთაებრიობის ბრწყინვალეობით და თავისი ადამიანობის გამოსყიდვით, ადგილით, სადაც ჩვენ ვტკბებით შეწყალებით ღმერთის წინაშე და სადაც ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ და ურთიერთობა გვქონდეს ჩვენს მართალ, წმიდა და დიდებულ ღმერთთან, რათა მივიღოთ ის როგორც მადლი – რომ. 3:25; ებრ. 4:16:
 - ა) ორი ოქროს ქერუბიმი შეწყალების თავსარქველზე მიუთითებს იმაზე, რომ ღმერთის დიდება ბრწყინავს ქრისტედან (გამ. 25:18-20); ის, რომ შეწყალების მსახვერპლის სისხლს აკურებდნენ კიდობნის შეწყალების თავსარქველზე, აღნიშნავს, რომ ქრისტეს მიერი გამოსყიდვის სისხლის წყალობით ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ურთიერთობა მართალ ღმერთთან მის დიდებაში (ლევ. 16:14-15).
 - ბ) რაც უფრო მეტად შეგვხვდება ღმერთი ჩვენ და დაგველაპარაკება ჩვენ და რაც უფრო მეტად ჩვენ შევხვდებით ღმერთს და მოვისმენთ მის ლაპარაკს, უფრო მეტი ღმერთის მოწმობა იქნება ჩვენს განცდაში.

III. კიდობნისა და სავანის ისტორია გამოხატავს ღმერთის გულის სურვილს, ეკლესიის დაცარიელებას და ეკლესიის აღდგენას ღმერთის მოწმობისათვის, ღმერთის გამოხატულებისათვის – გამ. 25:9-10; 26:26-30; 40:38:

- ა. როგორც ცენტრი და შემადგენლობა სავანისა, კიდობანი აღნიშნავს ქრისტეს როგორც ცენტრსა და შემადგენლობას ეკლესიისა როგორც ღმერთის სავანის, ღმერთის სახლის, ღმერთის ერთობლივი გამოხატულებისათვის – 25:22; 40:21; კოლ. 2:9; ეფეს. 2:21-22; 1 ტიმ. 3:15.
- ბ. თავისი ისტორიის პირველ ეტაპზე კიდობანი იყო სავანეში; ეს აღნიშნავს, რომ ნორმალური ეკლესია იყო გამოხატულება ქრისტესი, ხოლო ქრისტე იყო ეკლესიის შემადგენლობა; მაგრამ კიდობანი, საბოლოოდ გამოყოფილი იყო სავანისაგან; ეს აღნიშნავს, რომ ეკლესიამ განიცადა დეგრადაცია და დაკარგა ქრისტეს სინამდვილე და თანდასწრება – გამ. 40:34-35; 1 მეფ. 4:1-7:2.
- გ. კიდობანი არის წინასახე ქრისტესი როგორც ღმერთის განკაცების და როგორც სამერთიანი ღმერთის თანდასწრების თავის ხალხთან ერთად მისი სახლმშენებლობის განხორციელებისათვის იმ მიზნით, რომ დააფუძნოს თავისი სამეფო დედამიწაზე (იესო ნ. 3:3, 10-17); ის, რომ მათ გამოიტანეს კიდობანი, აღნიშნავს, რომ მათ გამოიტანეს ღმერთის თანდასწრება (რიცხ. 10:33-36; 1 მეფ. 4:3-4).
- დ. კიდობნის მოძრაობა იყო ღმერთის მოძრაობის გამოხატულება დედამიწაზე ქრისტეში როგორც მის განკაცებაში (ფსალ. 68:1-18); მაგრამ როდესაც ისრაელი ჩაერთო ბრძოლაში ფილისტიმელებთან, ღმერთი არ აპირებდა მოძრაობას.
- ე. ისრაელის შვილები არ ფიქრობდნენ და არ ზრუნავდნენ ღმერთის სახლმშენებლობაზე, და ის, რომ მათ გამოიტანეს კიდობანი ფილისტიმელებთან საბრძოლველად, მიუთითებდა იმაზე, რომ მათ გამოიყენეს ღმერთი თავიანთ ინტერესებში, აიძულეს ღმერთი, რომ გამოსულიყო მათთან ერთად მათი უსაფრთხოებისათვის, მშვიდობისათვის, მოსვენებისა და სარგებლისათვის.
- ვ. პრინციპში, ჩვენ ვაკეთებთ იმავეს ყოველთვის, როდესაც ვლოცულობთ ჩვენს წარმატებაზე, არ ვითავლისწინებთ ღმერთის სახლმშენებლობას; ნაცვლად იმისა,

რომ გამოვიყენოთ ღმერთი ჩვენს ინტერესებში, ჩვენ უნდა ვილოცოთ, ვიცხოვროთ და ვიყოთ ადამიანები, მსგავსად სამუელისა, ღმერთის გულის თანახმად და მისი სახლმშენებლობისათვის.

- ზ. დღეს ადამიანები ცვლიან ღმერთის მოწმობას ადამიანური საჭიროებით; როდესაც ადამიანის საჭიროება ცვლის ღმერთის მოწმობას, იწყება დეგრადაცია და ჩნდება პრობლემები; კიდობანი იყო არა მარტო ღმერთის კიდობანი (1 მეფ. 4:11, 13, 17-19, 21-22), ასევე მოწმობის კიდობანიც (გამ. 25:22; 40:21).
- თ. ისრაელს უნდა მოენანიებინა, აღესრულებინა გულმოდგინე აღიარება, დაბრუნებულიყო ღმერთთან თავისი კერპებიდან და ეკითხა ღმერთისათვის, თუ რა უნდოდა ღმერთს, რომ მათ გაეკეთებინათ.
- ი. თუმცა მათ, არ აინტერესებდათ არც ღმერთის სურვილი, არც მისი მარადიული სახლმშენებლობა, და ისინი თავიანთი ცრურწმენით მიენდნენ კიდობანს, თავიანთ წარსულ გამარჯვებებზე დაფუძნებით, რომლებიც მათ მოიპოვეს კიდობნის მოძრაობის წყალობით.
- კ. ისრაელის დეგრადაციის გამო კიდობანი ხელში ჩაიგდეს ფილისტიმელებმა და ის გამოეყო სავანეს, ხოლო სავანე დარჩა ცარიელი სათავსი სინამდვილის გარეშე, სათანადო შიგთავსის გარეშე (1 მეფ. 4:11-6:1); ეს აღნიშნავს, რომ თავისი ისტორიის მეორე ეტაპზე ეკლესიამ განიცადა დეგრადაცია და დაკარგა ქრისტეს სინამდვილე და თანდასწრება (თ. 3-4; გამოცხ. 3:20).
- ლ. თავისი დეგრადაციისას ისრაელი მოიქცა უგუნურად, რადგან ისინი არ იყვნენ დაიმედებულნი უშუალოდ ღმერთზე; ნაცვალად ამისა ისინი დაიმედებულნი იყვნენ ღმერთის მიერ დადგენილ მოწყობებზე; სანამ გამოიტანდნენ ღმერთის კიდობანს სავანიდან, მათ უნდა ეკითხათ ღმერთისათვის, თუ როგორ გააკეთა ეს იესო ნავეს ძემ იერიქონთან (იესო ნ. 6:2-4; შდრ. 9:14).
- მ. ჩვენ უნდა ვუთხრათ უფალს ჩვენი სულის სიღმიდან: „უფალო, მე ვცხოვრობ დელამიწაზე არა ჩემი ჯანმრთელობისთვის, ჩემი წარმატებისთვის, ჩემი უსაფრთხოებისათვის, ჩემი მშვიდობისათვის, ჩემი მოსვენებისათვის ან ჩემი სარგებლისათვის; ვინაიდან მე მინდა ვიყო ჭეშმარიტი გამარჯვებული ნაზარეველი, რომელიც თანამშრომლობს შენთან შენი სახლმშენებლობის ასრულებისათვის, მე გეკითხები შენ, რა გაქვს გულზე ჩემთან დაკავშირებით“ – 1 მეფ. 2:30ბ, 35; რიცხ. 6:1-9; შდრ. 3 მეფ. 8:48; იერ. 32:39.
- მ. თავის დეგრადაციაში ისრაელის შვილებმა უკიდურესად შეურაცხვეს ღმერთი, და ღმერთმა მიატოვა ისინი; შედეგად კიდობანმა არ გადაარჩინა ისრაელი, არამედ, პირიქით, თვითონ იყო დაპყრობილი და ღმერთის დიდება მოშორდა ისრაელს (1 მეფ. 2:30, 34; 4:10-18, 22; ფსალ. 78:61); ვიყოთ კიდობნის გარეშე – ნიშნავს ვიყოთ ქრისტეს გარეშე, ხოლო ვიყოთ ქრისტეს გარეშე – ნიშნავს მივიღოთ „იქაბოდი“, რაც ნიშნავს „დიდების გარეშე“ (1 მეფ. 4:21-22; გამოცხ. 3:20).

IV. მოგვიანებით მოხდა აღდგენა და კიდობანი დაუბრუნდა და მიტანილი იყო თავიდან აბინაბადის სახლში კირიაფ-იერიმეში, სადაც ის დარჩა ოცი წელი (1 მეფ. 6:2 – 7:2), ხოლო შემდეგ ყობედ-ედომის, გიფელის, სახლში, სადაც ის დარჩა სამი თვე (2 მეფ. 6:1-11; შდრ. 1 მეფ. 1:24; იესო ნ. 18:1); ეს ნიშნავს, რომ დაწყებული მეორე საუკუნიდან, დრო და დრო წამოიმართებოდნენ „ყობედ-ედომები“, რომლებსაც ჰქონდათ უფლის თანდასწრება (კიდობანი), მაგრამ არ ჰქონდათ სათანადო ეკლესიური ცხოვრება როგორც ქრისტეს გამოსატყულება (სავანე).

V. დავითმა გადაიტანა კიდობანი ყობედ-ედომის სახლიდან კარავში, რომელიც მან მოამზადა მისთვის თავის ქალაქში, სიონის მთაზე, საუკეთესო ადგილას იერუსალიმში

(2 მეფ. 6:12-19; 1 ნეშ. 15:1-16:1); ასეთი მდგომარეობა იყო ნაბიჯი წინ, მაგრამ კიდობანი მაინც იყო არასათანადო აღვილას, რადგან ის არ დაბრუნებულა სავანეში:

- ა. ეს მდგომარეობა აღნიშნავს, რომ ხვა მორწმუნეები, რომლებიც, მსგავსად დავითისა, ზრუნავდნენ ღმერთის ინტერესებზე, ცდილობდნენ პრაქტიკულად განეხორციელებინათ ეკლესიური ცხოვრება თანახმად თავისი შეხედულებებისა, და არა თანახმად ღმერთის გამოცხადებისა.
- ბ. ამ მორწმუნეებს ჰყავდათ ქრისტე, მაგრამ ქრისტესთან ერთად მათ ჰქონდათ არასათანადო პრაქტიკა ეკლესიური ცხოვრებისა (ამის წინასახე არის დავითის კარავი იერუსალიმში) – შდრ. 3 მეფ. 3:3-15.

VI. დაბოლოს, მას შემდეგ რაც სოლომონმა დაასრულა ტაძრის მშენებლობა იერუსალიმში, კიდობანი იყო გადატანილი წმიდათა წმიდაში ტაძარში ნორმალური მდგომარეობის სრული აღდგენისათვის; დღეს თავის აღდგენაში უფალი მუშაობს ქრისტეს ნორმალური მდგომარეობის აღდგენაზე სათანადო ეკლესიაში როგორც ქრისტეს სხეულის სინამდვილეში თავისი გამოხატულებისათვის – 8:1-11, 48; ეფეს. 2:21-22; 3:16-21.

VII. კიდობნისა და სავანის ისტორია – არის წინასახე ეკლესიის ისტორიისა, რომელიც გვიჩვენებს სრულ სურათს ეკლესიის გზისა და მდგომარეობისა დასაწყისიდან დღევანდელ დღემდე; ჩვენ ვხედავთ ხუთ ძირითად ასპექტს ამ ისტორიისა:

- ა. პირველი მდგომარეობა არის ეკლესიის მდგომარეობა ქრისტესთან ერთად მასში; ამის წინასახე არის კიდობანი სავანესთან ერთად, როდესაც კიდობანი იყო შემადგენლობა, ხოლო სავანე მისი გამოხატულება; ეს არის სურათი ეკლესიის პირველი ეტაპისა, რომელიც არის სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში, როდესაც ქრისტე არის ეკლესიის შემადგენლობა, ხოლო ეკლესია – ქრისტეს გამოხატულება – გამ. 40:34-38; ეფეს. 3:16-21.
- ბ. მეორე მდგომარეობა – არის ეკლესიის მდგომარეობა ქრისტეს გარეშე მასში; ამის წინასახე არის ის, რომ კიდობანი იყო დაპყრობილი და გამოყოფილი სავანისაგან ღმერთის ხალხის მარცხის გამო; ის, რომ სავანე დაცარიელდა, არის გამოხატულება იმისა, რომ ქრისტიანების მარცხის გამო ეკლესიამ დაკარგა სინამდვილე და ქრისტეს თანდასწრება – გამოცხ. 2:4-5; 3:20.
- გ. მესამე მდგომარეობა არის ქრისტეს მდგომარეობა ეკლესიის გარეშე; ამის წინასახე არის ის, რომ კიდობანი იყო სავანის გარეშე; პირველი, კიდობანი იმყოფებოდა სავანისაგან განცალკევებულად თავიდან ოცი წელი აბინადავის სახლში კირიაფ-იერიმეში (1 მეფ. 7:1-2), ხოლო შემდეგ სამი თვე ყობედ-ედომის, გითელის სახლში (2 მეფ. 6:10-12); კიდობანი იყო სავანის გარეშე; ეკლესიის ისტორია გვიჩვენებს, რომ მეორე ასწლეულიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე პერიოდში იყო მრავალი „ყობედ-ედომი“.
- დ. მეოთხე მდგომარეობა – არის ქრისტეს მდგომარეობა შეუსაბამო ეკლესიით; დავითმა მოამზადა კიდობნისათვის კარავი იერუსალიმში, მაგრამ ის არ შეესაბამებოდა ნიმუშს, რომელიც ღმერთმა აჩვენა მოსეს; მრავალ ქრისტიანს აქვს კიდობანი – ქრისტე – შეუსაბამო ეკლესიასთან ერთად – მუხ. 17; 1 ნეშ. 15:1; 2 ნეშ. 1:4; გამ. 25:9.
- ე. მუხუთე მდგომარეობა არის მდგომარეობა ქრისტესი სათანადო ეკლესიასთან ერთად; ამის წინასახე არის კიდობანი სათანადო სავანით, რომელიც იყო გაფართოებული და გადიდებული და გახდა ტაძარი; სწორედ ამ მდგომარეობაში – ქრისტე, როგორც სინამდვილე, სათანადო ეკლესიასთან, როგორც გამოხატულებასთან, ერთად – ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენ ვართ სახლში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – ფსალ. 90:1-2; 91:1-16; 92:12-15; 132:5, 8; 1 ნეშ. 28:11-20; 2 ნეშ. 3:1.